გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 5

2018 წლის 12 იანვარი

ქ. გორი

განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან , ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობის გაზრდას გორის მუნიციპალიტეტის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწიონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ადგენს:

1. დამტკიცდეს „განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა", დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერია

„განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების

პროგრამა“

1. პროგრამის სახელწოდება: „განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა";

2. პროგრამის განხორციელების არეალი: გორის მუნიციპალიტეტი;

3. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 2018 წლის იანვარი - 2018 წლის დეკემბერი;
4. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: ..... ;

5. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი : ..... ლარი;

6. პროგრამის დაფინანსების წყარო: გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

7. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

8. პროგრამის ანოტაცია და მისი განხორციელების პრინციპები:

- აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან .
- პროგრამა აგრეთვე ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობის გაზრდას გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.

პრიორიტეტული მიმართულებები:

ა) საბუნებისმეტყველო (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, აგრეთვე ეკოლოგია, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ა. შ);

ბ) განათლება (ინკლუზია, განათლების კვლევები და ა. შ.)

გ) სოციალური (გენდერი, დემოგრაფია და ა. შ.)

გ) არაფორმალური განათლება (სამოქალაქო განათლება - პიროვნული განვითარება, სამოქალაქო აქტივიზმი, ცნობიერების ამაღლება, თვითმართველობა და მმართველობა, მოსწავლე და სკოლის თვითმართველობა, ტრენინგები, სემინარები და დისკუსიები საინფორმაციო შეხვედრები, საველე თემატური გასვლითი აქტივობები, ა. შ.);

დ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი", კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა. შ.)

- თემატური ექსკურსიების მოწყობა გორის კერძო და საჯარო სკოლების იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული საგანმანათლებო-შემეცნებით პროექტებში და მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

- პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (საგრანტო ქულის - 100 %) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება:

ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;

ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი, გაუქმებული ქ. გორის მუნიციპალიტეტის და გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველი თემის) ახალგაზრდებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.

- პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/ სტიპენდიები).

9. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის ინდიკატორები:

პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
• გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების ხელშეწყობა; • ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.	• ნიჭიერი და პერსპექტიული მოსწავლეები და ახალგაზრდები; • განხორციელებული პროექტები;

10. დამატებითი ინფორმაცია:

ა) პროექტის დაფინანსების პროცედურა განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კონკრეტული პროექტისა და მისი ბიუჯეტის განხილვის შემდეგ;

ბ) დაფინანსების შემთხვევაში მიმღებმა პირმა თვითონაც უნდა მოახდინოს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, შრომითი ან ადამიანური რესურსით.

გ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანხის ანაზღაურება (გადარიცხვა) მოხდება გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

11. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

შენიშვნა:

პროექტის წარმომდგენი უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

12. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ მიიღეს სკოლის საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა.